დამტკიცებულია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი #7, 14.07.2021 წ.

პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები

სტიპენდიით დაფინანსება ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა დაფინანსებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წინა სემესტრის [1] განმავლობაში მიღებული ქულებითა და ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი აქტივობების შედეგების გათვალისწინებით შერჩევის საფუძველზე. ასევე, დაფინანსება გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებიც წინა კალენდარული სემესტრის განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანთლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე. *კონკურსში არ მონაწილეობენ პირველი და დამატებითი სემესტრის სტუდენტები.*

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ნაშრომი, სტატია, სერტიფიკატი) არ მიიღება იმ შემთხვევაში: თუ ვერ დგინდება გამოქვეყნების/გაცემის თარიღი, თემა/სათაური, გამომცემლობის/ორგანიზატორის დასახელება, სერტიფიკატი არ არის დადასტურებული გამცემი ორგანიზაციის ხელმოწერითა და ბეჭდით. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს ჩამოთვლილ ინფორმაციას.
- თანაბარი ქულების შემთხვევაში, გადამწყვეტია ჯამური GPA (საჭიროების შემთხვევაში, დამატებით - წინა სემესტრის GPA).
- შედეგების აპელაციისთვის სტუდენტს განცხადება შემოაქვს ფაკულტეტის კანცელარიაში.

კონკურსანტი ფასდება შემდეგი მახასიათებლებით:

1. **აკადემიური მოსწრება** - (არაუმეტეს 80 ქულა), რომელიც გამოითვლება წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული საგნების (არანაკლებ 30 კრედიტი) ჩაბარებისა და

[1] იგულისხმება წინა სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის ადმინისტრაციულ რეგისტრაციის დაწყებამდე პერიოდი.

მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. სტიპენდიის გამანაწილებელი კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის სასწავლო ბარათით, რომელიც განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაში.

2. **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** (წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები) - არაუმეტეს 10 ქულა.

- ქულის მინიჭება ხდება მხოლოდ საბაკალავრო / ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების შესაბამისი აქტივობების მიხედვით.
- ფაკულტეტის საბაკალავრო / ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების შესაბამის თემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გარდა ჩაითვლება, ასევე, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის თემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციები.
- დაფინანსების მიღების მიზნებისთვის არ ჩაითვლება პუბლიკაცია, რომელიც განთავსებულია ბლოგებზე ან არარეცენზირებად ვებგვერდებზე.

	მისანიჭებელი ქულა	**პუბლიკაციები**
1.	1 ქულა	საქართველოში, მათ შორის, თსუ-ის ფარგლებში ან უცხოეთში გამოქვეყნებული რეცენზირებადი ბეჭდვითი ან ელექტრონული სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, ნაშრომები[2].
2.	2 ქულა	ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული რეცენზირებადი სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები. მათ შორის, ანალიტიკური ცენტრების, სხვადასხვა ორგანიზაციის ეგიდით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.[3]
3.	3 ქულა	საქართველოში გამოცემულ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

[2] მოცემულ პუნქტში მითითებული სტატიებით/ნაშრომებით შესაძლებელია არაუმეტეს 2 ქულის დაგროვება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს წარმოდგენილი აქვს 2-ზე მეტი ნაშრომი და პოტენციურად მისაღები ქულები აღემატება 2 ქულას, დამატებითი პუბლიკაციები აღარ ჩაითვლება. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად.

რეცენზირება უნდა დასტურდებოდეს გამოცემის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტით.

[3] აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე წარმოდგენილ ნაშრომს/სტატიას უნდა ახლდეს ნაშრომის ქართულ ენაზე ნათარგმნი მოკლე შინაარსი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს ან შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის მიერ.

რეცენზირება უნდა დასტურდებოდეს ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტით.

4.	4 ქულა	რეცენზირებად უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

3. **სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა** (წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები) - არაუმეტეს 10 ქულა.
   <u>სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:</u>
   - კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
   - კონფერენციის პროგრამა, რომელშიც მითითებული იქნება მოხსენების სათაური, კონფერენციის ჩატარების თარიღი.

   ქულის მინიჭება ხდება მხოლოდ საბაკალავრო / ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების შესაბამისი აქტივობების მიხედვით.

   ფაკულტეტის საბაკალავრო / ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების შესაბამისი თემატიკასთან დაკავშირებული აქტივობების გარდა ჩაითვლება, ასევე, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის თემატიკასთან დაკავშირებული აქტივობები.

	მისანიჭებელი ქულა	**კონფერენციები[4]**
1.	0.5 ქულა	სერტიფიცირებულ ტრენინგებში მონაწილეობა - წარმოდგენილ სერტიფიკატზე უნდა ფიქსირდებოდეს ტრენინგის თემა, დოკუმენტის გაცემის თარიღი, ორგანიზატორის დასახელება, ბეჭედი და ხელმოწერა.[5]
2.	1 ქულა	საქართველოში გამართულ რელევანტურ სტუდენტურ აქტივობებში, პროექტებში, გრანტებში, კონგრესებში, საზაფხულო სკოლებში, პრაქტიკა/სტაჟირებაში[6] და სხვა მონაწილეობა.
3.	2 ქულა	ადგილობრივ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, დეპარტამენტის, ინსტიტუტის)
4.	3 ქულა	საერთაშორისო სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა

[4] კონფერენციაზე გამარჯვების/საპრიზო ადგილის აღების შემთხვევაში ორმაგდება კონფრენციაში მონაწილეობისთვის განსაზღვრული ქულა.

[5] ამ პუნქტში გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად შესაძლებელია მაქსიმუმ 2 ქულის დაგროვება. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მონაწილეობს 4-ზე მეტ ღონისძიებაში და პოტენციურად მისაღები ქულები აღემატება 2.0 ქულას, ზედმეტი ღონისძიებები არ ჩაითვლება.

ტრანსფერულ უნარებსა და პიროვნულ განვითარებზე ორიენტირებული ტრენიგები და აქტივობები არ ჩაითვლება.

[6] პრაქტიკა/სტაჟირება არ უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული და სტუდენტი არ უნდა ღებულობდეს ამაში კრედიტს.

5.	4 ქულა	ადგილობრივ/ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის, უნივერსიტეტის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა
6.	5 ქულა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა